გამარტივებული შესყიდვის საშუალებით
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

# ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N93

ქ. თბილისი 20/ივნისი/2018 წელი

ეს დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას, რომელიც დაიდო 2018 წლის 20 ივნისს 2018 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის (სახსრების) შესაბამისად, მონეტარული ზღვრების დაცვით, დაფინანსების წყარო – საკუთარი შემოსავლები.

## ხელშეკრულების მხარეები

ერთი მხრივ შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი" (ს/კ 236035517) – ხელმძღვანელობაზე /წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი – დირექტორის მოვალეობის დროებითი შემსრულებლის ნუგზარ ჯანჯღავას (შემდგომში „შემსყიდველი") მისამართი: თბილისი ჯავახიშვილისქ. 51, და მეორე მხრივ, შპს ,,საგა იმპექსი" (ს/კ 205185235), მისამართი: ქ. თბილისი, ბელიაშვილის ქ. #145 N126, ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი –დირექტორი - დავით კაკაბაძე (შემდგომში მიმწოდებელი) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ"საქართველოს კანონის საფუძველზე დებენსახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") –შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება,რომელიცხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელზეც გაფორმებულიაწინამდებარე ხელშეკრულება.
1.3. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის სახელმწიფო შესყიდვას.
1.4. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულებისფარგლებში.

## 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს CPV–42122130 - წყლის ტუმბოები; კერძოდ: 1. საცირკულაციო ტუმბო, რაოდენობა - 1 ცალი, ერთეულის ფასი - 599.00 ლარი; 2. გადაბმის ქურო, რაოდენობა - 2 ცალი, ერთეულის ფასი 16.9 ლარი, სულ - 33,8 ლარი, მთლიანი ფასი - 632.8 ლარი.
2.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის, არაუგვიანეს 2018 წლის 25 ივნისს, ქალაქ თბილისში, გუდაუთის ქ. N7-ში.

## 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **632,80 ლარი (ექვსასოცდათორმეტი ლარი და 80 თეთრი);**
3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებითგათვალისწინებული შესყიდვასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

## 4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება განხორციელდება მითითებული ღირებულების შესაბამისად, უნაღდო ანგარიშსწორებით, შესყიდვის ობიექტის მიწოდების შემდეგ, შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმების საფუძველზე,მიმწოდებლის მიერ მითითებული რეკვიზიტების მიხედვით.
4.2. ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს, მხოლოდ შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების აქტისა და შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის გამვალობაში.

## 5. ხარისხი

5.1საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს.



შემსყიდველი

მიმწოდებელი

SAGA
205185235

## 6. მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეთა მიერ გაფორმებულიშესაბამისი (მიღება–ჩაბარების აქტი)დოკუმენტაციის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის შემდეგ.

## 7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებებისშესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ შესყიდული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურებახელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებულიშესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურებახელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები მოქმედი ნორმებისა და წესებისდაცვით, სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით იმ ვადაში, რომელიცმითითებულია ხელშეკრულებაში.

## 8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის მიერ გამოყოფილი პირი ან პირთა ჯგუფი, კერძოდ: ვასილ როსტიაშვილი, რომელიც უზრუნველყოფს შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებას.

8.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობებისშესაბამისად შესყიდვის ობიექტის რაოდენობის, მიწოდების ვადებისა, ხარისხის და ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობისკონტროლს.

8.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯებისანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.

## 9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.2. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების და/ან დამატების შეტანა შესაძლებელიამხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა რაცწინამდებარე ხელშეკრულებას.

9.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოსგადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, რაც უნდა აცნობოს მხარეს არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

9.4. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

## 10. დაუძლეველი ძალა (ფორს – მაჟორი)

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (ფორს–მაჟორი) ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში,მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ.წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

10.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.



| შემსყიდველი | მიმწოდებელი |
|---|---|
| | SAGA |
| | 205185235 |

## 11. მხარეთა პასუხისმგებლობა

11.1. ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, კერძოდ, თუ მხარეები ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროში ვერ შეასრულებენ მათზე დაკისრებულმოვალეობებს, დადგება მათი პასუხისმგებლობა, რომელიც განისაზღვრება პირგასამტეხლოს სახით, კერძოდ: შეუსრულებელი ვალდებულების 0,1%–ის ოდენობით ყოველ გადაცილებულ დღეზე.

## 12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავისგადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 30 ივლისის ჩათვლით.

## 14. სხვა პირობები

14.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3(სამი) ეგზემპლარად (ორიშემსყიდველს, ერთი მიმწოდებელს).

### მხარეთა რეკვიზიტები

| შემსყიდველი | მიმწოდებელი |
|---|---|
| შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“ (ს/კ 236035517) | შპს „საგა იმპექსი" (ს/კ 205185235) |
| ხელმძღვანელობაზე /წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი – დირექტორის მოვალეობის დროებითი შემსრულებელი<br>ნუგზარ ჯანჯღავა | ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი- დირექტორი - დავით კაკაბაძე |
| საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკი“<br>ბანკის კოდი: LBRTGE22<br>ანგარიშის ნომერი: GE86LB0113112241617000 | საბანკო რეკვიზიტები: სს თიბისი ბანკი<br>ბანკის კოდი: TBCBGE22<br>ანგარიშის ნომერი: GE88TB4658936020100009 |



შემსყიდველი

მიმწოდებელი